ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №2

ქ.თბილისი 05.05.2015

სხდომას ესწრებოდნენ:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

რევაზ აფხაზავა - ა(ა)იპ - კავშირი განათლების პოლიტიკის, მართვის და დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტის (EPPM) აღმასრულებელი დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე; სხდომის თავმჯდომარე;
მაია მაღლაკელიძე - ა(ა)იპ - საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის წევრი, სხდომის მდივანი;
თამარ ცირეკიძე - ა(ა)იპ - კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის მომსახურების დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
მანანა რატიანი - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტ-კონსულტანტი;
ლაშა მკურნალიძე - ა(ა)იპ - ასოციაცია „სკოლა - ოჯახი - საზოგადოების" აღმასრულებელი დირექტორი;
ინდირა ამირანაშვილი - დაწყებითი განათლების პროექტის (USAID/G-PriEd) დირექტორის მოადგილე.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლევან მადათოვი - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;
თამთა კობახიძე - განვითარების სამმართველოს კოორდინატორი;
თამარ შენგელია - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს სპეციალისტი;
ნინო გაგელიძე - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს კოორდინატორი;
ელენე ვეკუა - საერთაშორისო ავტორიზაცია-აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი;
რამაზ გიუნაშვილი - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს სპეციალისტი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

ნინო ოქროჯანაშვილი - შპს სკოლა-გიმნაზია პირველის წარმომადგენელი;
მანანა ბაკურაძე - შპს სკოლა-გიმნაზია პირველის წარმომადგენელი;
ვერა ყურულაშვილი - შპს დეას წარმომადგენელი;
მარიამ შარაბიძე - შპს თბილისის აკადემიური სკოლის წარმომადგენელი;
ირინე აბულაშვილი - შპს თბილისის აკადემიური სკოლის წარმომადგენელი;
ნათელა მურადაშვილი - შპს ცოდნა-ნათელა მურადაშვილის წარმომადგენელი;
თინათინ დადვანი -ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა იოანე ბოლნელის სახელობის სკოლის ბუღალტერი;
მარიკა ფორჩხიძე -ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა იოანე ბოლნელის სახელობის სკოლის მუსიკის პედაგოგი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

ნოდარ ანგურიძე;
დავით ჭეიშვილი;
ნელი ნასყიდაშვილი.

თავმჯდომარემ გახსნა სხდომა 16:10 სთ-ზე, შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. აღნიშნული დებულების 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, სხდომას გაუძღვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე - რევაზ აფხაზავა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს შეახსენა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს სკოლა-გიმნაზია პირველში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს დეაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. შპს თბილისის აკადემიურ სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. შპს ცოდნა-ნათელა მურადაშვილში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა იოანე ბოლნელის სახელობის სკოლისათვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1. შპს სკოლა-გიმნაზია პირველში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ნოდარ ანგურიძემ. მან აღნიშნა, რომ მონიტორინგის საფუძველს წარმოადგენდა ფართის ცვლილება. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ შეიძინა საკუთარი შენობა, შესაბამისად - ფართის ცვლილების შესახებ შეატყობინა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

ნოდარ ანგურიძემ განმარტა, რომ დაწესებულებამ დასკვნის მომზადების პერიოდში გამოასწორა ყველა ის ხარვეზი, რაც ექსპერტებმა დააფიქსირეს ვიზიტის დროს. კერძოდ, სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა მხოლოდ 1308 წიგნის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ხოლო 351 ერთეულზე ფლობის დამდასტურებელი დოკუმენტაცია, წარმოადგინა ცენტრში, დასკვნის მომზადების პერიოდში. წიგნების შერჩევითი წესით გადამოწმებისასა რამოდენიმე წიგნზე არ იყო სკოლის ბეჭედი და არ ჰქონდა მინიჭებული საინვენტარო ნომერი. დასკვნის მომზადების პერიოდში სკოლამ გამოასწორა აღნიშნული ხარვეზი და დამადასტურებელი დოკუმენტაცია წარმოადგინა ცენტრში. ვიზიტის პერიოდში სკოლის შენობა არ იყო სრულად უზრუნველყოფილი პანდუსებით. დასკვნის მომზადების პერიოდში სკოლის დირექტორმა წარმოადგინა ფოტომასალა საიდანაც ირკვევა, რომ დაამზადა მოძრავი ხის პანდუსები.დაწესებულებამ უზრუნველყო მოძრავი პანდუსების შეძენა.

საბჭოს წევრები გაეცნენ წარმოდგენილ ფოტო მასალას.

საბჭოს თავმჯდომარემ, რევაზ აფხაზავამ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ეტლით მოსარგებლე მოსწავლე მოახერხებდა თუ არა აღნიშნული პანდუსით გადაადგილებას შენობაში, რაზეც დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ მსგავს შემთხვევაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი დამოუკიდებლად ვერ შეძლებდა გადაადგილებას, თუმცა დაწესებულება უზრუნველყოფდა მის შეუფერხებლად მოძრაობას სპეციალურად გამოყოფილი პირის მეშვეობით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სკოლა-გიმნაზია პირველისათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 6

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს - სკოლა-გიმნაზია პირველის (ს/კ:243571639) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

2. შპს დეაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინა ექსპერტმა დავით ჭეიშვილმა. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2014 წლის 25 დეკემბერს და დაფიქსირდა შემდეგი გარემოებები, კერძოდ:

1. მატერიალურ რესურსებთან მიმართებით:

1.1 სკოლას არ გააჩნდა დამოუკიდებელი ელექტროენერგიის წყარო.

1.2 სკოლის ბიბლიოთეკაში არ მოიძებნებოდა სასწავლო პროცესის შესაბამისი პერიოდიკა;

1.3 სკოლას ჰქონდა ექვსი კომპიუტერი და ხუთი მონიტორი, სამი ნოუთბუკი. მუშა მდგომარეობაში მყოფი კომპიუტერები (ხუთი) ჩართული იყო ინტერნეტში. სკოლას ჰქონდა ვებგვერდი www.dea.edu.ge რომელიც არ მუშაობდა. დაწესებულებამ წარმოადგინა კომპიუტერების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები და ვებ გვერდის მომსახურების ხელშეკრულება.

დავით ჭეიშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ავტორიზაცია გაიარა ქ. თბილისში შოვის ქ. №3-ში მდებარე შენობაში. ამჟამად დაწესებულება განთავსებული იყო ქ. თბილისში გ.ზაზიაშვილის ქ. №1-ში განთავსებული კორპუსის პირველ სართულზე. აღნიშნულ შენობაში სკოლას ოჯარით აღებული აქვს შენობის პირველი სართული, საერთო ფართით 507.00 კვ.მ. დაწესებულებამ ავტორიზაცია მიიღო საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2012 წლი 1 მარტის №64 გადაწყვეტილებით და მოსწავლეთა ზღვრული ოდენობა განესაზღვრა 242-ით. ექსპერტის განმარტებით ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა მერხების შესაბამისი ოდენობა.

საბჭოს წევრი, ლაშა მკურნალიძე დაიტნერესდა დაწესებულებაში არსებული ლაბორატორიის მდგომარეობით და კომპიუტერების რაოდენობით, რაზეც ექსპერტმა განაცხადა, რომ ლაბორატორია იყო განთავსებული პატარა ოთახში. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სკოლას გააჩნდა 15 კომპიუტერი. ექსპერტმა შენიშნა, რომ კომპიუტერული კლასი საკმაოდ მცირე ფართობის იყო და გამოთქვა ეჭვის იმასთან დაკავშირებით, რომ 15 კომპიუტერის განთავსება აღნიშნულ ფართში შეუძლებელი იქნებოდა. ამასთან, აღნიშნულ ოთახს არ გააჩნდა ბუნებრივი განათების შესაძლებლობა.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ ბიბლიოთეკაში არსებული წიგნების ხელმისაწვდომობით, რაზეც დაწესებულების წარმომადგენლება აღნიშნეს, რომ მოსწავლე ბიბლიოთეკით სარგებლობას შეძლებდა მხოლოდ ბიბლიოთეკარის დახმარებით.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ახალი ფაქტობრივი გარემოებების გამოვლენის შედეგად, მოსწავლეთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის საკითხი შეიძლებოდა გადახედილიყო, რადგან დაწესებულების არსებული მატერიალური რესურსი არ იძლეოდა იმის საშუალებას, რომ სკოლას მიეღო 242 მოსწავლე. საბჭოს შეიძლებოდა ემსჯელა მოსწავლეთა კონტიგენტის 150 მოსწავლით განსაზღვრის თაობაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დასკვნაში დაფიქსირებული ყველა შენიშვნა გათვალსიწინებული იყო და ამჟამად სკოლაში ირიცხებოდა 120 მოსწავლე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს დეასთვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 5

საბჭოს გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირა მაია მაღლაკელიძემ.

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს დეას (ს/კ:200055992) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 39-ე მუხლის თანახმად, ცენტრის ინიციატივით შეიძლებოდა შემცირებულიყო მოსწავლეთა, პროფესიულ სტუდენტთა, სტუდენტთა რაოდენობა დაწესებულების შესაბამისი პირობების შემოწმების და აღნიშნული დებულების საფუძველზე.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს დეასათვის (ს/კ: 200055992) მოსწავლეთა ზღვრული ოდენობის 150-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე -6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 39-ე მუხლის შესაბამისად, შპს დეას (ს/კ: 200055992) მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა განესაზღვროს 150-ით.

3. შპს თბილისის აკადემიურ სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს წინაშე დაკსვნა წარადგინა მონიტორინგის ჯგუფის წევრმა დავით ჭეიშვილმა. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებამ დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზების ნაწილი გამოასწორა და ყურადღება გაამახვილა იმ არსებით გარემოებებზე, რაც დასკვნის მომზადების შედეგაც ფიქსირდებოდა დაწესებულებაში. კერძოდ,

1. მატერიალურ რესურსებთან მიმართებით:

1.1 დაწესებულებამ ავტორიზაცია გაიარა ქ. თბილისში შოვის ქ. №3-ში მდებარე შენობაში. ამჟამად დაწესებულება განთავსებული იყო ქ. თბილისში არაყიშვილის ქ. №11-ში განთავსებული საცხოვრებელი კორპუსის პირველ სართულზე. აღნიშნულ შენობაში სკოლას იჯარით აღებული ჰქონდა შენობის პირველი სართულის ნაწილი, საერთო ფართით 297.03 კვ.მ. თუმცა იჯარით ფართის ფლობა არ დასტურდებოდა საჯარო რეესტრის ამონაწერით. დაწესებულებამ წარმოადგინა მხოლოდ ქირავნობის ხელშეკრულება. სკოლას არ ჰქონდა შენობის შიდა აზომვითი ნახაზი.

საბჭოს წევრმა, ლაშა მკურნალიძემ განაცხადა, რომ ხელშეკრულება რეგისტრირებული უნდა ყოფილიყო საჯარო რეესტრში, წინააღმდეგ შემთხვევაში ირღვეოდა საგანამანათლებლო დაწესებულებების ავტორიაციის დებულებით გათვალისწინებული მატერიალური რესურსების სტანდარტი. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენლება განაცხადეს, რომ მათ ჰქონდათ მცდელობა ხელშეკრულების დარეგისტრირებისა, მაგრამ ვინაირად შენობის მეპატრონე იმყოფებოდა საზღვარგარეთ სამკურნალოდ, შეუძლებელი ხდებოდა აღნიშნულის განხორციელება მის ჩამოსვლამდე.

1.2 სკოლას ჰქონდა ბიბლიოთეკა, რომლის სამკითხველო დარბაზი და წიგნსაცავი განთასებული იყო დერეფანში. ბიბლიოთეკაში იყო კატალოგი ქაღალდის მატარებელზე. წიგნების საინვენტარო ჟურნალის მიხედვით ბიბლიოთეკაში ფიქსირდებოდა 402 წიგნადი ერთეული. წიგნები დამუშავებული იყო ბიბლიოგრაფიული წესით. ბიბლიოთეკაში შემთხვევითი შერჩევის წესით გადამოწმდა გრიფირებული სახელმძღვანელოების არსებობა და შესაბამისობა სკოლის სასწავლო გეგმასთან. ბიბლიოთეკაში არ აღმოჩნდა:

1. მე-7 კლასის: „ქართული ენა და ლიტერატურა“, გამომცემლობა-შპს საგამომცემლო სახლი „სწავლანი“, ავტორი-ვახტანგ როდონაია,ნინო ნაკუდაშვილი, ავთანდილ არაბული, მარინე ხუციშვილი, მანანა გიგინეიშვილი.

„გეოგრაფია“, გამომცემლობა შპს „გამომცემლობა მერიდიანი“, შპს „გამომცემლობა კლიო“, ავტორი-ზურაბ დავითაშვილი, ნოდარ ელიზბარაშვილი, დარეჯან ფაღავა, იამზე ეცეტაძე და ნიკოლოზ ბერუჩაშვილი. „ისტორია“, გამომცემლობა შპს „გამომცემლობა კლიო“, ავტორი-ლიანა გიორგობიანი, მარეხ კავთიაშვილი, რუსუდან დაუშვილი, ელენე მეძმარიაშვილი....

2. მე-8 კლასის: „ქართული ენა და ლიტერატურა“, გამომცემლობა-შპს საგამომცემლო სახლი „სწავლანი“, ავტორი-ვახტანგ როდონაია,ნინო ნაკუდაშვილი, ავთანდილ არაბული, მარინე

ხუციშვილი, მანანა გიგინეიშვილი. „გეოგრაფია“, გამომცემლობა შპს „გამომცემლობა მერიდიანი“, შპს „გამომცემლობა კლიო“, ავტორი-ზურაბ დავითაშვილი, ნოდარ ელიზბარაშვილი, დარეჯან ფაღავა, იამზე ეცეტაძე. „ისტორია“, გამომცემლობა შპს „გამომცემლობა კლიო“, ავტორი-ლიანა გიორგობიანი, მარეხ კავთიაშვილი, რუსუდან დაუშვილი, ელენე მეძმარიაშვილი....

3. მე-9 კლასის: „ქართული ენა და ლიტერატურა“, გამომცემლობა-შპს საგამომცემლო სახლი „სწავლანი“, ავტორი-ვახტანგ როდონაია,ნინო ნაკუდაშვილი, ავთანდილ არაბული, მარინე ხუციშვილი, მანანა გიგინეიშვილი.....„გეოგრაფია“, გამომცემლობა შპს „გამომცემლობა მერიდიანი“, შპს „გამომცემლობა კლიო“, ავტორი-ზურაბ დავითაშვილი, ნოდარ ელიზბარაშვილი, დარეჯან ფაღავა, იამზე ეცეტაძე და ნიკოლოზ ბერუჩაშვილი. „ისტორია“, გამომცემლობა შპს „გამომცემლობა კლიო“, ავტორი-ლიანა გიორგობიანი, მარეხ კავთიაშვილი, რუსუდან დაუშვილი, ელენე მეძმარიაშვილი....

4. მე-10 კლასის: „ქართული ენა და ლიტერატურა“, გამომცემლობა-შპს საგამომცემლო სახლი „სწავლანი“, ავტორი-ვახტანგ როდონაია,ნინო ნაკუდაშვილი, ავთანდილ არაბული, მარინე ხუციშვილი, მანანა გიგინეიშვილი..... „მსოფლიო გეოგრაფია“, გამომცემლობა შპს „გამომცემლობა მერიდიანი“, შპს „გამომცემლობა კლიო“, შპს „ქართული ბიოგრაფიული ცენტრი“ ავტორი-ზურაბ დავითაშვილი, ნოდარ ელიზბარაშვილი, დარეჯან ფაღავა, იამზე ეცეტაძე და ნიკოლოზ ბერუჩაშვილი. „ისტორია“, გამომცემლობა შპს „გამომცემლობა დიოგენე“, ავტორი-ნატო ახმეტელი, ნათია ფირცხალავა, გვანცა აბდალაძე, ბონდო კუპატაძე და ნიკოლოზ მურღულია.

5. მე-11 კლასის: „ქართული ენა და ლიტერატურა“, გამომცემლობა-შპს საგამომცემლო სახლი „სწავლანი“, ავტორი-ვახტანგ როდონაია,ნინო ნაკუდაშვილი, ავთანდილ არაბული, მარინე ხუციშვილი, მანანა გიგინეიშვილი.....„გლობალური გეოგრაფია“, გამომცემლობა შპს „გამომცემლობა მერიდიანი“, შპს„გამომცემლობა კლიო“, შპს „ქართული ბიოგრაფიული ცენტრი“ ავტორი-ზურაბ დავითაშვილი, ნოდარ ელიზბარაშვილი, დარეჯან ფაღავა, იამზე ეცეტაძე და ნიკოლოზ ბერუჩაშვილი.„ისტორია“, გამომცემლობა შპს „გამომცემლობა დიოგენე“, ავტორი-ნატო ახმეტელი, ნათია ფირცხალავა, გვანცა აბდალაძე, ბონდო კუპატაძე და ნიკოლოზ მურღულია.„ქიმია“, გამომცემლობა-შპს „გამომცემლობა ინტელექტი“, ავტორი-მანანა ვარდიაშვილი.

6. მე-12 კლასის:„ქართული ენა და ლიტერატურა“, გამომცემლობა-შპს საგამომცემლო სახლი „სწავლანი“, ავტორი-ვახტანგ როდონაია,ნინო ნაკუდაშვილი, ავთანდილ არაბული, მარინე ხუციშვილი, მანანა გიგინეიშვილი.....„ისტორია“, გამომცემლობა შპს „გამომცემლობა დიოგენე“, ავტორი-ნატო ახმეტელი, ნათია ფირცხალავა, გვანცა აბდალაძე, ბონდო კუპატაძე და ნიკოლოზ მურღულია.

დაწესებულებაში ზემოთ აღნიშნული სახელმძღვანელოების ნაცვლად, წარმოადგინეს იმავე გამომცემლობების მიერ 2012 წელს გამოცემული იგივე დასახელების სახელმძღვანელოები, თუმცა განსხვავება ზემოთ ჩამოთვლილსა და წარმოდგენილს შორის იყო ავტორებში და ზოგიერთ შემთხვევში გამომცემლობებშიც.

სკოლის ბიბლიოთეკაში არ ფიქსირდებოდა სასწავლო პროცესის შესაბამისი პერიოდიკა. დაწესებულების მიერ ვიზიტის დროს ვერ იქნა წარმოდგენილი წიგნების ფლობის დამადასტურებელი დოკმენტები ბუღალტრის ადგილზე არ ყოფნის გამო, მაგრამ აღნიშნული დოკუმენტები წარმოდგენილი იყო, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

დაწესებულების წარმომადგენლება აღნიშნეს, რომ წიგნები თემებისა და შინაარსის მიხედვით იდენტური იყო იმავე გამომცემლობების მიერ 2012 წელს გამოცემული იგივე დასახელების სახელმძღვანელოებთან.

საბჭოს წევრი, მაია მაღლაკელიძე დაინტერესდა რამდენად შესაბამისი გარემო იყო ბიბლიოთეკაში, რაზეც ექსპერტმა აღნიშნა, რომ ბიბლიოთეკაში არ იყო შესაბამისი გარემო, რათა მოსწავლეებს შეძლებოდათ მშვიდად გაცნობოდნენ ლიტერატურას.

1.3 სკოლას ჰქონდა ხუთი კომპიუტერი და ხუთი მონიტორი. მუშა მდგომარეობაში მყოფი კომპიუტერები (ხუთი) ჩართული იყო ინტერნეტში. სკოლას ჰქონდა ვებგვერდი http://www.taschool.ge/, რომელიც არ მუშაობდა. დაწესებულებამ წარმოადგინა კომპიუტერების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები.

საბჭოს წერვმა თამარ ცირეკიძემ განაცხადა, რომ იგი ვერ ახერხებდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ ვებგვერდზე შევლას, რაზეც დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ვიზიტის პერიოდში მათ შეცვალეს ვებგვერდი და ახალი მისამართი დაასახელეს.

1.4 სკოლას შემუშავებული ჰქონდა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება. შინაგანაწესი არ აკმაყოფილებდა საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის" მე-13 მუხლის მე-2 ნაწილს. მაგალითად შინაგანაწესში არა იყო განსაზღვრული ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი.

აღნიშნულთან დაკავშირებით საბჭოს წევრმა, ლაშა მკურნალიძემ განაცხადა, რომ ის ვერ გაიზიარებდა ექსპერტის მოსაზრებას, რადგან ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი ისედაც იყო შრომის კოდექსით გათვალისიწნებული და დამატებით მისი შინაგანაწესში ასახვის საჭიროება არ დგებოდა.

საბჭს წევრმა, მანანა რატიანმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს სპორტულ აქტივობებთან დაკავშირებით, რაზეც მათ აღნიშნეს, რომ დაწესებულებას ხელშეკრულება ჰქონდა გაფორმებული სპორტული ტანვარჯიშის დარბაზთან. ხოლო მოსწავლეთა აღნიშნულ დარბაზში ტრანსპორტორებას უზრუნველყოფდნენ თავად მოსწავლეთა მშობლები.

საბჭოზე გამოცხადდა შესვენება 17:15 წუთზე.
საბჭო განახლდა 17:25 წუთზე.

სხდომის თავმჯდომარემ განაცახადა, რომ საბჭოს უნდა გაეთვალისიწნებინა მოსწავლეთა ინტერესები, რადგან ავტორიზაციის გაუქმების შემთხვევაში მეთორმეტე კლასის მოსწავლეები კანონმდებლობის შესაბამისად ვერ შეძლებდნენ მობილობას სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის აკადემიური სკოლისათვის სტანდარტებთან შესაბამისობის გამოსწორების მიზნით 15 დღიანი ვადის განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 6

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, შპს თბილისის აკადემიურ სკოლას (404865990) სტანდარტებთან შესაბამისი პირობების გამოსწორების მიზნით განესაზღვროს ვადა 15 დღით.

4. შპს ცოდნა-ნათელა მურადაშვილში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინა დავით ჭეიშვილმა. მან აღნიშნა, რომ დასკვნაში დაფიქსირებული გარემოებები სრულად არ გამოსწორებულა. კერძოდ, ექსპერტი ვერ ადასტურებდა ერთი გარე კამერის არსებობას. ექსპერტის განმარტებით დაწესებულებას ჰქონდა მხოლოდ ერთი გარე კამერა, რომლის გამოსახულების ჩაწერაც არ ხდებოდა. გარდა ძირითადი შესასვლელისა, დაწესებულებას გააჩნდა დამატებითი შესასვლელი, სადაც კამერა დაყენებული არ იყო. შენობაში დამონტაჟებული კამერები არ იყო ჩართული და არ მიმდინარეობდა ჩაწერა.

აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წარუდგინა ფოტომასალა, იმ ფაქტის დასადასტურებლად, რომ სკოლამ დაამონტაჟა მეორე გარე კამერა. დაწესებულების წარმომადგენელმა წარმოადგინა დისკი, სადაც განთავსებული იყო ჩანაწერები შიდა კამერებიდან. საბჭოს წევრები გაეცნენ აღნიშნულ მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ კამერების სწორად განთავსება მოსწავლეთა უსაფრთხოების მიზნით იყო აუცილებელი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დასკვნაში დაფიქსირებული ყველა ხარვეზი გასწორებული იყო. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებამ გააკეთა სპორტული მოედანი, მოაწესრიგა ბიბლიოთეკა, რომლის ფართიც შეადგენდა დაახლოებით 30 კვ.მ-ს, და დაამონტაჟა კამერები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ცოდნა-ნათელა მურადაშვილისათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 6

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს - ცოდნა-ნათელა მურადაშვილის (ს/კ:2094401219) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

5. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა იოანე ბოლნელის სახელობის სკოლისათვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ კორესპოდენციასა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - დაწესებულების კორესპოდენცია და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინა ავტორიზაციის ექსპერტმა ნელი ნასყიდაშვილმა. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ავტორიზაცის გაიარა ავტორიზაცია გაიარა 26.04.2012 წელს, მისამართზე : ბოლნისის რაიონი, სოფ. ქვეში. ამჟამად სკოლა მდებარეობს მისამართზე : ქ. ბოლნისი, პეტრე იბერის № 3 -ში. ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტი განახორციელა 2015 წლის 27 მარტს, ცენტრის დირექტორის 2015 წლის 24 მარტის №220 ბრძანების საფუძველზე. ვიზიტის დროს შემოწმებული იქნა საგანმანათლებლო პროგრამების თავისებურებები, სკოლის მატერიალური და ადამიანური რესურსი. ვიზიტის დროს გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

1. მატერიალურ რესურსებთან მიმართებით:

1.1 ბიბლიოთეკა განთავსებული იყო ოთახში, რომელსაც არ ჰქონდა ბუნებრივი განათება.

1.2 სკოლას სსსმ მოსწავლე არა ჰყავდა. შემუშავებული იყო ინკლუზიური განათლების პროგრამა და სასწავლო გეგმა. სკოლას მოსწავლეთათვის არსებული ერთ სველი წერტილი ჰქონდა ადაპტირებული, დამონტაჟებული იყო ხელმოსაჭიდი, თუმცა ეტლით მოსარგებლე მოსწავლე ვერ მოახერხებდა მის სრულფასოვან გამოყენებას. დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგად დადგინდა, რომ სკოლა გეგმავდა ცალკე ადაპტირებული სველი წერტილის აშენებას სსსმ მოსწავლეთათვის.

აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ზაფხულის განმავლობაში შენობაში იგეგმებოდა სრული რემონტი და შესაბამისად, ყველა პრობლემა აღმოფხვრილი იქნებოდა. საჭირო თანხებიც უკვე გამოყოფილი იყო შენობის სრული რეაბილიტაციისათვის.

1.3 კომპიუტერული კლასში განთავსებული იყო ინტერნეტქსელში ჩართული 9 კომპიუტერი. ,, სილქნეტთან" გაფორმებული იყო ხელშეკრულება, ინტერნეტის უწყვეტად მიწოდების თაობაზე. სკოლას არ ჰქონდა ვებგვერდი, მიუხედავად იმისა, რომ აქვს ვებჰოსტინგისა და დომენის ფლობის შესახებ ხელშეკრულება. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ბოლნისიდან ვერ ხერხდებოდა ვებგვერდის გამართულად ფუნქციონირება, ინტერნეტის დაბალი სიჩქარის გამო, ამიტომ საკომუნიკაციო ურთიერთობებისათვის დაწესებულება იყენებს სოციალურ ქსელს.

2. ადამიანურ რესურსებთან მიმართებით:

2.1 ვიზიტის დროს დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა მუსიკის პედაგოგ მარიამ ფიჩხაძის კვალიფიკაციის დამდასტურებელი დოკუმენტი.

აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მუსიკის პიედაგოგი გადაყვანილი იყო დამატებითი საგანამანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების ფარგლებში არსებულ წრის ხელმძღვანელად, ხოლო მუსიკის პედაგოგად დანიშნული იყო შესაბამისი კვლიფიკაციის მქონე პირი.

2.2. ხელშეკრულების ფორმები განსაახლებელი იყო და დასაზუსტებელი იყო შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობები (სამუშაო ადგილი, შრომის ანაზღაურების გადახდის წესი, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი).

დაწესებულების წარმომადგენლებმა საბჭოს წევრებს წარუდგინეს ხელშეკრულების განახლებული ფორმები. საბჭო გაეცნო წარმოდგენილ მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს - რა იყო მათი მოტივაცია, როდესაც განაცხადი გააკეთეს მოსწავლეთა ზღვრული ოდენობის გაზრდასთან დაკავშირებით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლას სრულიად ჰქონდა შევსებული მოსწავლეთა რაოდენობა, რომელიც მათ მიენიჭათ 2012 წელს. ვინაიდან ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან მოთხოვნა დიდი იყო, სკოლამ გადაწყვიტა გაფართოება და მოსწავლეთა ზღვრული ადგილების გაზრდა. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ სურდათ მოსწავლეთა რაოდენობის 200 მოსწავლემდე გაზრდა.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულება არსებული რესურსებით შეძლებდა 180 მოსწავლის მიღებას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა იოანე ბოლნელის სახელობის სკოლისათვის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 180-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტის პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33[1] მუხლის მესამე პუნქტისა და 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა იოანე ბოლნელის სახელობის სკოლას (ს/კ:225398272) მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 180-ით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა 18:10 საათზე.

თავმჯდომარე
რევაზ აფხაზავა

მდივანი
მაია მაღლაკელიძე